საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №1248

თბილისი „09“ 10 2019 წ.

„ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N768 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 3 ოქტომბრის N1324113 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N768 ბრძანებაში და ბრძანების:
ა) პირველი პუნქტით დამტკიცებული ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი კრიტერიუმები დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
ბ) მეორე პუნქტით დამტკიცებული ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების ტექნიკური კრიტერიუმები დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი

დანართი N1

ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი კრიტერიუმები

1. სახელმძღვანელოს შეფასება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის კუთხით		მოსწავლის წიგნი	მოსწავლის რვეული	მასწავლებლის წიგნი (ელ. რესურსთან ერთად ან მის გარეშე)	სრულად აკმაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	ქულა - 1-2-3-4-5	კრიტერიუმის წონა	დასაბუთება/ განმარტება	რეკომენდაცია
კრიტერიუმი 1.1 სახელმძღვანელო ორგანიზებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად		*	*	*	▪				
1.1.1.	თემები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილ სავალდებულო თემებს/თემატურ ბლოკებს (მასწავლებლის წიგნში მითითებულია, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილ რომელ თემატურ ბლოკს მიემართება კონკრეტული თემა).								
1.1.2.	მასწავლებლის წიგნში თითოეულ თემას ახლავს მიზნებისა და შინაარსის რუკა, რომელიც აჩვენებს კავშირს თემის საკვანძო შეკითხვებს, თემაში დამუშავებულ ცნებებსა და შეფასების ინდიკატორებს შორის.								
1.1.3.	მასწავლებლის წიგნში თითოეულ თემას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები (გარდა უცხოური ენისა და მათემატიკისა).								
კრიტერიუმი 1.2. სახელმძღვანელო შეესაბამება სტანდარტის მიზნებსა და შინაარსობრივ მოთხოვნებს (ემსახურება **შედეგების** მიღწევას და შესაბამისი ცნებების დაუფლებას)		*	*	*		▪	25%		
1.2.1.	**თემაში** მოცემული მასალა (მაგალითები და აქტივობები, დავალებები, ტექსტები, თვალსაჩინოებები და ა.შ.) ხელს უწყობს **საკვანძო შეკითხვებზე** პასუხების ძიებას, **შეფასების ინდიკატორების*** მოთხოვნათა დაკმაყოფილებასა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. **იმ საგნების სტანდარტებში, სადაც შეფასების ინდიკატორები სავალდებულოდ არ არის მოცემული, ავტორის მიერ შემოთავაზებული შეფასების ინდიკატორები უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტის შედეგებს.*								
1.2.2.	მასწავლებლის სახელმძღვანელოში თითოეული თემისთვის მოცემულია ამავე თემის შესაბამისი თანმიმდევრული ინსტრუქციები განმავითარებელ შეფასებასთან, სწავლა-სწავლების მეთოდებთან და სტრატეგიებთან, დამატებით რესურსებთან და მიზნებზე გასელის მექნიზმებთან დაკავშირებით (1.1 - 1.4 დანართებით შემოთავაზებული ჩარჩოების მიხედვით).								
დამატებითი საგანსპეციფიკური ინდიკატორი									
ქართ	სახელმძღვანელო ხელს უწყობს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარების თანამიმდევრულად განვითარებას								
	ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებების გარდა, სახელმძღვანელოში შეთავაზებულია მაღალი ხარისხის თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც ასახავს მოსწავლეთათვის ნაცნობ რეალიებს, პრობლემატიკას.								
კრიტერიუმი 1.3. თითოეული თემა ხელს უწყობს ცოდნის აქტიურ კონსტრუირებას		*	*	*		▪	25%		
1.3.1.	თემა მოსწავლეებს სთავაზობს მათი ასაკისათვის შესაბამის კონტექსტებს;								
1.3.2.	**თემაში** წარმოდგენილი **მასალა** (აქტივობები, დავალებები, ტექსტები, თვალსაჩინოებები) და **საკვანძო შეკითხვები** ააქტიურებს მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას;								
1.3.3.	**თემაში** წარმოდგენილი **მასალა** (აქტივობები, დავალებები, ტექსტები, თვალსაჩინოებები) და **შეკითხვები** ხელს უწყობს მოსწავლის ეტაპობრივად მიყვანას ახალ ცოდნამდე (მათ შორის **სამიზნე ცნებების გააზრებამდე, მკვიდრი წარმოდგენების** ჩამოყალიბებამდე);								
1.3.4.	ყოველი მომდევნო თემა ეფუძნება წინა თემებში დამუშავებულ/შეძენილ ცოდნას, განამტკიცებს და ავითარებს მას.								

კრიტერიუმი 1.4. სახელმძღვანელო ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას		*	*	*		■	25%		
1.4.1	**თემაში წარმოდგენილი მასალა** (აქტივობები, დავალებები, ტექსტები, თვალსაჩინოებები, გრაფიკული მაორგანიზებლები) **და საკვანძო შეკითხვები** ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, იერარქიზებასა და სისტემაში მოყვანას; საკითხებს, მოვლენებს, ცნებებს შორის არსებული კავშირ-დამოკიდებულებების, მიმართებების გააზრებას.								
კრიტერიუმი 1.5. თემა ხელს უწყობს ცოდნათა ფუნქციურ გამოყენებას		*	*	*		■	25%		
1.5.1.	**შემაჯამებელი დავალებები** მოითხოვს თემის ფარგლებში შეძენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში;								
1.5.2.	სახელმძღვანელოს მეთოდიკური აპარატი (ინსტრუქციები, რჩევები, რუბრიკები, დავალებები, სავარჯიშოები და სხვ.) ხელს უწყობს **განმავითარებელი შეფასების** წარმოებას;								
1.5.3.	შეთავაზებულია დავალების შესრულების სხვადასხვა ხერხი და მისი ორგანიზების ფორმები, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება გაიაზროს **სწავლის სტრატეგიის** სწორად შერჩევის მნიშვნელობა უკეთესი შედეგის მისაღებად.								
2. სახელმძღვანელოს შინაარსობრივი გამართულობა		**მოსწავლის წიგნი**	**მოსწავლის რვეული**	**მასწავლებლის წიგნი (ელ. რესურსთან ერთად ან მის გარეშე)**	**სრულად აკმაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს**	**ქულა - 1-2-3-4-5**	**კრიტერიუმის წონა**	**დასაბუთება/ განმარტება**	**რეკომენდაცია**
კრიტერიუმი 2.1. სახელმძღვანელოს შინაარსი (საგნობრივი/ დარგობრივი შინაარსი) გამართულია და ობიექტური		*	*	*	■				
2.1.1.	შინაარსი (ტექსტი/თვალსაჩინოება) სანდო და ზუსტია, შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს: ტერმინები, ცნებები, ფაქტები, მოვლენები, პროცესები სწორადაა მოწოდებული;								
2.1.2.	ინფორმაცია ობიექტურია. სახელმძღვანელოს ავტორი არ ახდენს თავისი დამოკიდებულებებით მკითხველზე ზეგავლენას, თავს არ ახვევს სუბიექტურ განწყობებსა და შეხედულებებს.								
დამატებითი საგანსპეციფიკური ინდიკატორი									
ბიო/გეო	შინაარსის საკითხებიდან გამომდინარე, ბიომრავალფეროვნების სწავლებისას, თვალსაჩინოებებზე მოცემულია საქართველოს/ კავკასიის სახეობები და ლანდშაფტები.								
ბიო/ფიზ/ქიმ	სახელმძღვანელოში გამოყენებული თვალსაჩინოება, რომელიც ასახავს ექსპერიმენტული/პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების ინსტრუქციებს ან მსვლელობას, ავთენტურია.								

3. სახელმძღვანელოს სტრუქტურული გამართულობა		მოსწავლის წიგნი	მოსწავლის რვეული	მასწავლებლის წიგნი (ელ. რესურსთან ერთად ან მის გარეშე)	სრულად აკმაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	ქულა - 1-2-3-4-5	კრიტერიუმის წონა	დასაბუთება/ განმარტება	რეკომენდაცია
კრიტერიუმი 3.1. სახელმძღვანელოს სტრუქტურა ხელს უწყობს შინაარსში ორიენტირებას		*	*	*	■				
3.1.1.	სტრუქტურული ერთეულები (თემა/პარაგრაფი/თავი და ა.შ.) გამოყოფილია გასაგები პირობითი ნიშნებით (ლოგო, შრიფტი და ა.შ.), რომლებიც ხელს უწყობს მასალის შინაარსისა და სტრუქტურის ვიზუალურ წარმოჩენას უკეთ აღქმა-გააზრების მიზნით;								
3.1.2.	ახლავს გამართული საცნობარო/საძიებო აპარატი (მაგალითად, სარჩევი, საზომი ერთეულების ცხრილი, ლექსიკონი, სქოლიოები და მისთ); მასწავლებლის წიგნში მოცემულია მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი სავარჯიშოების/შეკითხვების პასუხები (საგნის სპეციფიკის შესაბამისად).								

4. სახელმძღვანელოს ენობრივი გამართულობა		მოსწავლის წიგნი	მოსწავლის რვეული	მასწავლებლის წიგნი (ელ. რესურსთან ერთად ან მის გარეშე)	სრულად აკმაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	ქულა - 1-2-3-4-5	კრიტერიუმის წონა	დასაბუთება/ განმარტება	რეკომენდაცია
კრიტერიუმი 4.1. სახელმძღვანელოს ენა შეესაბამება ენობრივი განათლების მოთხოვნებს		*	*	*	■				
4.1.1.	ტექსტების (მათ შორის, სავარჯიშოებისა და დავალებების პირობების) ენობრივი აგებულება ხელს უწყობს სააზროვნო პროცესების წარმართვას: ტექსტის აზრობრივად შეკრული მონაკვეთები დაყოფილია აბზაცებად; თვალსაჩინოა აბზაცებს/ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული ქრონოლოგიური, მიზეზ-შედეგობრივი და სხვა ლოგიკური კავშირები;								
4.1.2.	ტექსტებში ზომიერად არის წარმოდგენილი ახალი ცნებები/ტერმინები, სახელმძღვანელოში გამოყენებული დარგობრივი ენა მოსწავლისათვის ადვილად გასაგებია;								
4.1.3.	დაწერილია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით, არ გვხვდება გრამატიკული შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები, დაცულია ორთოგრაფიის ნორმები და პუნქტუაციის წესები.								

5. შესაბამისობა სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან		მოსწავლის წიგნი	მოსწავლის რვეული	მასწავლებლის წიგნი (ელ. რესურსთან ერთად ან მის გარეშე)	სრულად აკმაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს	ქულა - 1-2-3-4-5	კრიტერიუმის წონა	დასაბუთება/ განმარტება	რეკომენდაცია
კრიტერიუმი 5.1. თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციისა და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა		*	*	*	▪				
5.1.1.	სახელმძღვანელო თავისუფალია ენის, ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილებისა და სხვა ნიშნით სტერეოტიპული, არაკორექტული, დისკრიმინაციული ან/და დისკრედიტაციული ელემენტებისგან;								
5.1.2.	საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ტექსტებსა და ილუსტრაციებში დაცულია თანასწორობა ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და სხვ. ნიშნით.								
კრიტერიუმი 5.2. ეთიკის ნორმების დაცვა		*	*	*	▪				
5.2.1.	სახელმძღვანელო თავისუფალია უეცნზურო და არაკორექტული გამონათქვამებისგან, პირველწყაროს ტექსტში ამგვარი გამონათქვამის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ადგილი მოწოდებულია ადაპტირებული სახით ან კუპიურებით.								
კრიტერიუმი 5.3. ძალადობისკენ მოწოდების ან შუღლის გაღვივების აკრძალვა		*	*	*	▪				
5.3.1.	ილუსტრაციები და შინაარსი თავისუფალია ნებისმიერი სახის ძალადობის, მათ შორის ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების მიმართ ვანდალური და ზიანის მომტანი ქმედების წამაქეზებელი მოწოდებებისგან; ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივების მაპროვოცირებელი ტექსტებისა და ილუსტრაციებისგან.								
კრიტერიუმი 5.4. კომერციული რეკლამის აკრძალვა		*	*	*	▪				
5.4.1.	თავისუფალია რაიმე სახის სოციალური, პოლიტიკური ან/და კომერციული რეკლამისგან, რომელიც არ ემსახურება საგანმანათლებლო მიზნებს.								
კრიტერიუმი 5.5. შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან		*	*	*	▪				
5.5.1.	შინაარსი (ტექსტები, თვალსაჩინოება, სავარჯიშოებისა და დავალებების პირობები) არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.								
კრიტერიუმი 5.6. შესაბამისობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან		*	*	*	▪				
5.6.1.	ითვალისწინებს მდგრადი განვითარების პრინციპებს, რაც გულისხმობს დღეგანდელობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს.								
6. სახელმძღვანელოს მაკეტში ავტორის ან/და საავტორო უფლების მფლობელის ანონიმურობის დაცვა		**მოსწავლის წიგნი**	**მოსწავლის რვეული**	**მასწავლებლის წიგნი (ელ. რესურსთან ერთად ან მის გარეშე)**	**სრულად აკმაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს**	**ქულა - 1-2-3-4-5**	**კრიტერიუმის წონა**	**დასაბუთება/ განმარტება**	**რეკომენდაცია**
დაცულია ავტორის ან/და საავტორო უფლების მფლობელის ანონიმურობა		*	*	*	▪				
7. სახელმძღვანელოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა		**მოსწავლის წიგნი**	**მოსწავლის რვეული**	**მასწავლებლის წიგნი (ელ. რესურსთან ერთად ან მის გარეშე)**	**სრულად აკმაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს**	**ქულა - 1-2-3-4-5**	**კრიტერიუმის წონა**	**დასაბუთება/ განმარტება**	**რეკომენდაცია**

არ შეიცავს (ნებისმიერი ფორმით) მითითებას/მოთხოვნას იმ საგანმანათლებლო რესურსის შესახებ, რომელიც შექმნილია ან მომავალში შეიქმნება გრიფირებისათვის წარმოსადგენი სახელმძღვანელოს მაკეტის კომპლექტს მიღმა და მისი გამოუყენებლობა შექმნის სირთულეებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს დამოუკიდებლად გამოყენებისა და სასწავლო პროცესის წარმართვის საკითხში.	*	*	*	■				
8. მოსწავლის წიგნში მუშაობის (ჩაწერა და სხვა) აკრძალვა	**მოსწავლის წიგნი**	**მოსწავლის რვეული**	**მასწავლებლის წიგნი (ელ. რესურსთან ერთად ან მის გარეშე)**	**სრულად აკმაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს**	**ქულა - 1-2-3-4-5**	**კრიტერიუმის წონა**	**დასაბუთება/ განმარტება**	**რეკომენდაცია**
არ შეიცავს ისეთ სავარჯიშოს, აქტივობას, ტექსტს ან/და კროსვორდს, რომელიც მოითხოვს მასში რაიმეს ჩაწერას, ჩახატვას, ჩახაზვას, ამოჭრას, გაფერადებას ან ჩაწებებას	*			■				

შენიშვნა:

*" * " - სიმბოლო აღნიშნავს კრიტერიუმს, რომელიც გამოიყენება სახელმძღვანელოს მაკეტის შესაბამისი სახის (მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი (ელ. რესურსთან ერთად ან მის გარეშე), მოსწავლის რვეული) რეცენზირებისას;*

" ■ " - სიმბოლო აღნიშნავს შეფასების სახეს (ქულობრივი შეფასება/სიტყვიერი შეფასება), რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ კრიტერიუმთან მიმართებით.

თემის დამუშავების ნიმუში მასწავლებლის წიგნისთვის

(გარდა უცხოური ენებისა, ქართული ენისა და ლიტერატურისა, ქართული, როგორც მეორე ენისა, ფიზიკური აღზრდისა და სპორტისა)

განმარტებები ცხრილისთვის:

სასწავლო თემა წარმოადგენს კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.

შენიშვნა: იმ საგნებში, რომლებშიც სასწავლო თემები ორგანიზებულია თემატური ბლოკების სახით, უნდა მიეთითოს, რომელ თემატურ ბლოკს მიეკუთვნება მოცემული კონკრეტული თემა;

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ფუნქციაა მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე (თემატურ მკვიდრ წარმოდგენები თვისობრივად განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).
თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები პასუხობს - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე თემის შესწავლისას.

სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

საკითხები - წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. მათი საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რაზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ თემის ფარგლებში. საკითხებზე დაყრდნობით ხდება, ასევე, კომპლექსური დავალების პირობის განსაზღვრა, რომელიც მოსწავლეს სამიზნე ცნებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში ეხმარება.

საკვანძო შეკითხვები გამოკვეთს - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება (მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებთან - საკითხი, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი) თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

მკვიდრი წარმოდგენები - თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს

<table>
<tr><td colspan="4">თემა:
საათების სავარაუდო რაოდენობა -</td></tr>
<tr><td colspan="4">თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</td></tr>
<tr><td colspan="4">თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:</td></tr>
<tr><td colspan="4">თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:</td></tr>
<tr><td rowspan="3">სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td><td colspan="2">I ეტაპი</td><td rowspan="3">კომპლექსური დავალება/ დავალებები</td></tr>
<tr><td>საკითხი/ქვეცნება</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td colspan="2">აქტივობები:</td><td rowspan="2"></td></tr>
<tr><td colspan="2">რესურსები:</td></tr>
</table>

	II ეტაპი		კომპლექსური დავალება/ დავალებები
	საკითხი/ქვეცნება	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	
	აქტივობები:		
	რესურსები:		
შეფასების კრიტერიუმი / კრიტერიუმები			

თემის დამუშავების ნიმუში მასწავლებლის წიგნისთვის
ქართული ენა და ლიტერატურა

განმარტებები ცხრილისთვის:

სასწავლო თემა წარმოადგენს კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, კონკრეტული ქვეცნებებისა და საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში ვინაიდან სასწავლო თემები ორგანიზებულია თემატური ბლოკების სახით, უნდა მიეთითოს, რომელ თემატურ ბლოკს მიეკუთვნება მოცემული კონკრეტული თემა.

თემატური საკვანძო შეკითხვები შემოსაზღვრავს სასწავლო თემის ფარგლებს, ააქტიურებს მოსწავლის წინარე ცოდნას, აღვიძებს მის ცნობისმოყვარეობას და სტიმულს აძლევს ახალი ცოდნის შესაძენად.

სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

მკვიდრი წარმოდგენები - თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს.

თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული **ოთხეული - ქვეცნებები/საკითხები,** მათზე ორიენტირებული **საკვანძო შეკითხვები,** ასევე **კომპლექსური დავალება/დავალებები** და **შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები.** თემატურ მატრიცაში შესაძლებელია დაემატოს იმდენი ეტაპი (შესაბამისი შუალედური მიზნებით), რამდენსაც ავტორი ჩათვლის საჭიროდ მოცემული სასწავლო თემის ფარგლებში.

ქვეცნებები, საკითხები - წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი ქვეცნებები (რომლებიც უშუალოდ ცნებებიდან გამომდინარეობს) და საკითხები. მათი საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად, რაზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ თემის ფარგლებში. მათზე დაყრდნობით განისაზღვრება ასევე კომპლექსური დავალების პირობა, რომელიც მოსწავლეს ეხმარება სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში.

ცნების საკვანძო შეკითხვები ორიენტირებულია უშუალოდ შესაბამის სამიზნე ცნებაზე (მაგ., ცნებაზე „კონტექსტი") და განისაზღვრება შერჩეული ქვეცნებების/საკითხების გათვალისწინებით. ისინი გამოკვეთს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

კომპლექსური დავალება წარმოადგენს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები (საკითხი, ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი), ცალკეული თემის ფარგლებში, შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

შეფასების ინდიკატორები გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს.

<table>
<tr><td colspan="4">**თემა:**
(თემატური ბლოკი: ...)
საათების სავარაუდო რაოდენობა -</td></tr>
<tr><td colspan="4">**თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:**</td></tr>
<tr><td colspan="4">**თემატური საკვანძო შეკითხვები:**</td></tr>
<tr><td rowspan="3">**სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**</td><td colspan="2">**I ეტაპი**</td><td></td></tr>
<tr><td>**საკითხი, ქვეცნება**</td><td>**ცნების საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები**</td><td>**კომპლექსური დავალება**</td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td colspan="2">**ტექსტი:**</td><td rowspan="2"></td></tr>
<tr><td colspan="2">**აქტივობები:**</td></tr>
</table>

	რესურსები:		
	II ეტაპი		
	საკითხი, ქვეცნება	ცნების საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები	კომპლექსური დავალება
	ტექსტი:		
	აქტივობები:		
	რესურსები:		
შეფასების კრიტერიუმი / კრიტერიუმები			

თემის დამუშავების ნიმუში მასწავლებლის წიგნისთვის

უცხოური ენები და ქართული, როგორც მეორე ენა

განმარტებები ცხრილისთვის:

სასწავლო თემა წარმოადგენს კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.

შენიშვნა: იმ საგნებში, რომლებშიც სასწავლო თემები ორგანიზებულია თემატური ბლოკების სახით, უნდა მიეთითოს, რომელ თემატურ ბლოკს მიეკუთვნება მოცემული კონკრეტული თემა;

სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ფუნქციაა მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე (თემატურ მკვიდრ წარმოდგენები თვისობრივად განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).
თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები პასუხობს - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე თემის შესწავლისას.

თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული **ოთხეული - ქვეცნება/საკითხი, მათზე ორიენტირებული საკვანძო შეკითხვები, კომპლექსური დავალება/დავალებები და შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები;** თითოეული შუალედური მიზანი (შეიძლება მას თემის დამუშავების ეტაპიც ვუწოდოთ) ერთდროულად ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობას გულისხმობს; თემატურ მატრიცაში შესაძლებელია დაემატოს იმდენი ეტაპი (შესაბამისი შუალედურ მიზნებით), რამდენსაც ავტორი ჩათვლის საჭიროდ მოცემული სასწავლო თემის ფარგლებში;

საკითხები - წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. მათი საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რაზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ თემის ფარგლებში. საკითხებზე დაყრდნობით ხდება, ასევე, კომპლექსური დავალების პირობის განსაზღვრა, რომელიც მოსწავლეს სამიზნე ცნებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში ეხმარება.

საკვანძო შეკითხვები გამოკვეთს - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება (მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებთან - საკითხი, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი) თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

მკვიდრი წარმოდგენები - თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს.

<table>
<tr><td colspan="4">**თემა:**
საათების სავარაუდო რაოდენობა -</td></tr>
<tr><td colspan="4">**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**</td></tr>
<tr><td colspan="4">**თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:**</td></tr>
<tr><td rowspan="3">**სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**</td><td colspan="2">**I ეტაპი**</td><td></td></tr>
<tr><td>**საკითხი და ქვეცნებები**</td><td>**საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები**</td><td rowspan="2">**კომპლექსური დავალება/ დავალებები**</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td colspan="2">**აქტივობები:**</td><td rowspan="2"></td></tr>
<tr><td colspan="2">**რესურსები:**</td></tr>
</table>

	II ეტაპი		
	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	კომპლექსური დავალება/ დავალებები
	აქტივობები:		
	რესურსები:		
შეფასების კრიტერიუმი / კრიტერიუმები			

თემის დამუშავების ნიმუში მასწავლებლის წიგნისთვის
ფიზიკური აღზრდა და სპორტი

განმარტებები ცხრილისთვის:

სასწავლო თემა წარმოადგენს კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ფუნქციაა მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე (თემატურ მკვიდრ წარმოდგენები თვისობრივად განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).
თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები პასუხობს - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე თემის შესწავლისას.

სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

საკითხები - წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. მათი საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რაზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ თემის ფარგლებში. საკითხებზე დაყრდნობით ხდება, ასევე, კომპლექსური დავალების პირობის განსაზღვრა, რომელიც მოსწავლეს სამიზნე ცნებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში ეხმარება.

საკვანძო შეკითხვები გამოკვეთს - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება (მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებთან - საკითხი, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი) თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

მკვიდრი წარმოდგენები - თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს

თემა:	**საათების რაოდენობა:**
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	

საკითხები / ქვეცნებები	**საკვანძო შეკითხვები**	**შეფასების კრიტერიუმები**
აქტივობები		

დანართი N2

ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების ტექნიკური კრიტერიუმები

(მოსწავლის წიგნისა და მოსწავლის რვეულისათვის)

	მოთხოვნა 1. გამოცემის ფორმატი	**სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს**	**დასაბუთება**	**მითითება**	**ტექნიკური კორექტურის ვადა**
1.1	მოსწავლის წიგნისთვის - გამოცემის სტანდარტიზებული ფორმატი: VII-IX კლ. - B5 (160X230მმ) ან A4 (195X275მმ); X-XII კლ. - A5 (145X200მმ) ან B5 (160X230მმ) ან A4 (195X275მმ).				
1.2	მოსწავლის რვეულისთვის - გამოცემის სტანდარტიზებული ფორმატი: A5 (145X200მმ) ან B5 (160X230მმ) ან A4 (195X275მმ).				
1.3	ორიენტაცია ვერტიკალური.				

	მოთხოვნა 2. ტექსტის აღქმის ხარისხი	**სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს**		**დასაბუთება**		**მითითება**		**ტექნიკური კორექტურის ვადა**	
2.1	ძირითადი ტექსტის[1] სტრიქონის ზომა ყველა სახის ფორმატისთვის: VII-IX კლ. - 72 მმ-დან 153 მმ-მდე; X-XII კლ. - 63 მმ-დან 153 მმ-მდე.								
2.2	შიდა მინდვრის მინიმალური ზომა გვერდზე - 20მმ. (გარდა ჭრამდე გასული ილუსტრაციების შემთხვევისა).								

[1] *ძირითადი ტექსტი - წინამდებარე ფორმისათვის: ტექსტის ნაწილი, რომელშიც სასწავლო გამოცემის მთავარი შინაარსია გადმოცემული.*

2.3	ზედა, ქვედა და გარე მინდვრების მინიმალური ზომა გვერდზე - 10 მმ. (გარდა ჭრამდე გასული ილუსტრაციების შემთხვევისა).				
2.4	ყველა ტიპის წიგნებსა და რვეულებში ილუსტრაციების რაოდენობა არანაკლებ დაკაბადონებული ფართის 15%-ისა.				
	მოთხოვნა 3. შრიფტის ზომა	**სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს**	**დასაბუთება**	**მითითება**	**ტექნიკური კორექტურის ვადა**
3.1	შრიფტის ზომა ძირითადი ტექსტისთვის: VII-IX კლ. - 9-11 პუნქტი; X-XII კლ. - 8-10 პუნქტი.				
3.2	შრიფტის ზომა არაძირითადი და დამატებითი ტექსტებისთვის: VII-IX კლ. - 8-10 პუნქტი; X-XII კლ. - 7-9 პუნქტი.				

	მოთხოვნა 4. ინტერლინიაჟის[2] ზომა (ძირითადი ტექსტებისთვის)	**სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს**	**დასაბუთება**	**მითითება**	**ტექნიკური კორექტურის ვადა**
4.1	ინტერლინიაჟის ზომა ავტომატური, გამოყენებული შრიფტის მიხედვით. შესაძლებელია ინტერლინიაჟის გაზრდა 2-4 პუნქტით.				

	მოთხოვნა 5. ტექსტების სვეტებად განაწილება	**სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს**	**დასაბუთება**	**მითითება**	**ტექნიკური კორექტურის ვადა**
5.1	დასაშვებია ორსვეტიანი წყობა ძირითადი და დამატებითი ტექსტისათვის. მაგალითებისა და ამოცანებისათვის დასაშვებია მრავალსვეტიანი წყობა, სვეტებს შორის მანძილით				

[2] *სტრიქონთშორისი ხარვეზი, ერთმანეთს მიყოლებულ ორ მეზობელ სტრიქონში შრიფტის ქვედა და ზედა ხაზებს შორის მანძილი.*

	არანაკლებ 9მმ, ფერადი ფონის გამოყენებითა და/ან გამყოფი ხაზით[3] არანაკლებ 6მმ. სვეტებს შორის მანძილი ერთი დავალების ფარგლებში ერთნაირი უნდა იყოს.				

	მოთხოვნა 6. სიტყვებს შორის მანძილი	**სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს**	**დასაბუთება**	**მითითება**	**ტექნიკური კორექტურის ვადა**
6.1	სიტყვებს შორის მანძილი ავტომატურია.				

	მოთხოვნა 7. გამოსაყენებელი შრიფტი	**სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს**	**დასაბუთება**	**მითითება**	**ტექნიკური კორექტურის ვადა**
7.1	სტამბური შრიფტები: ვენური (ჩვეულებრივი), კოლხეთი, მკაფიო. BPG: DejaVu Sans, ნათელი, მრგვლოვანი.				
7.2	ლათინური ასოების, ციფრების, მათემატიკური, ფიზიკური, ქიმიური გამოსახულებებისთვის დასაშვებია, შრიფტების: არიალისა და ჰელვეტიკის გამოყენება. ბერძნული სიმბოლოების გამოსახვისთვის შესაძლებელია სპეციალური სასიმბოლე შრიფტების გამოყენება.				
7.3	მათემატიკურ, ფიზიკურ ან ქიმიურ გამოსახულებებში, სიმბოლოები, ციფრები და ინდექსები იწერება ინტერვალების გარეშე, ხოლო თვით გამოსახულებებს შორის აუცილებელია ინტერვალის გამოყენება.				

[3] *სიმეტრიული ვერტიკალური ცენტრი.*

7.4	დაუშვებელია[4] მხატვრული და მთავრული შრიფტების გამოყენება: VII-IX კლ. - ძირითად, დამატებით და ილუსტრაციების ტექსტებში; X-XII კლ. - ძირითად ტექსტში.				
7.5	ძირითად ტექსტსა და გამოყოფილ ნაწილებში (სათაურების გარდა) რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას: VII-IX კლ. - შრიფტის არაუმეტეს 2 ვარიანტისა, რომლებიც ერთ-ერთი პარამეტრით განსხვავდებიან. მაგალითად: კეგელით, გარნიტურით[5], მოხაზულობით[6]; X-XII კლ. - შრიფტის არაუმეტეს 1 ვარიანტისა.				
7.6	დაუშვებელია არასწორკიდეებიანი შრიფტების გამოყენება.				

	მოთხოვნა 8. შრიფტის ფერი	სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
8.1	დაუშვებელია ძირითადი და დამატებითი ტექსტის ბეჭდვისას შრიფტის გამოკვეთა ფერადი საღებავებით, თუ ეს არ არის მეთოდიკის ნაწილი.				
8.2	დაუშვებელია ტექსტის გამოყოფის მიზნით შრიფტის გამოკვეთა ფერადი საღებავებით ფერად ფონზე.				
8.3	დაუშვებელია ფერადი საღებავები ფერად ფონზე თვალსაჩინოებებში (გრაფიკი, სქემა, ცხრილი, დიაგრამა და სხვა).				

[4] *ქვეპუნქტი არ ეხება სათაურებს, ქვესათაურებს (წებისმიერი ტიპის).*
[5] *შრიფტების კომპლექტი, რომელთაც ახასიათებთ ასოების მოხაზვის ერთნაირი სტილი. თითოეული გარნიტურის შრიფტი განსხვავდება მოხაზულობით და ზომით (კეგელი).*
[6] *ერთი გარნიტურის ნიშნების კომპლექტი, რომელიც განსხვავდება: ა) ნიშნების სისქით, ბ) ნიშნების დახრილობით.*

	მოთხოვნა 9. კარტოგრაფიული წარწერები	სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
9.1	კარტოგრაფიული წარწერებისათვის რეკომენდებულია გამოყენებული იქნეს შრიფტი -კეგელით: 7-9.				

	მოთხოვნა 10. ილუსტრაციის ტექსტი	სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
10.1	ილუსტრაციის მარჯვნივ მოთავსებული ტექსტის სტრიქონის დასაწყისი (სათაურებისა და აბზაცების გარდა) ვერტიკალურ ხაზზე უნდა მდებარეობდეს.				

შენიშვნა: წინამდებარე მოთხოვნები საერთოა VII-XII კლასების სახელმძღვანელოს მაკეტისათვის, ასევე, როგორც მოსწავლის წიგნისათვის, ისე რვეულისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოთხოვნა პირდაპირ მიუთითებს რომელიმე მათგანზე (კონკრეტულ კლასებზე, მოსწავლის წიგნზე, მოსწავლის რვეულზე).